ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6501987

ნომერი: AR1968904

თარიღი : 29.05.2023

გაცემის თარიღი : 09.06.2023

გაცნობის თარიღი : 09.06.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა, N 106;

დამკვეთი-განმცხადებელი

- არჩილ რამიშვილი პ/ნ 01010011140
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ II მ/რ II კვ. კორ. 12 ბ. 27

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 მაისის №6479382 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 29 მაისს №AR1968904 განცხადებით მომართა არჩილ რამიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 29 მაისის

№6479382 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 მაისის №6479382 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა №106-ში მდებარე №01.12.12.028.043 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის (ბლოკი B) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 29 მაისიდან 2025 წლის 29 მაისის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2023 წლის 29 მაისის №6479382 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ განმცხადებელს სურს ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში, საპროექტო შენობის ფუნქციასთან ერთად, დაფიქსირდეს საპროექტო ბლოკიც, კერძოდ „ბლოკი B“. ამასთან, სურს ბრძანებაში დაემატოს გამორჩენილი ღია ავტოსადგომის - 144.0 კვ.მ. ფართობი, რომელიც შეთანხმებულ ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე უნდა დაფიქსირებულიყო.
სამსახურმა დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ 2023 წლის 16 მაისს, №AR1966053 განცხადებით მოთხოვნილ იქნა, სამსახურის 2023 წლის 10 მაისის №6454402 ბრძანებით შეთანხმებული მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის (ბლოკი B) არქიტექტურული პროექტის ცვლილება (კორექტირება), რასთან დაკავშირებითაც წარმოდგენილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის „B“ ბლოკის გეგმა-ნახაზები. ამასთან, ბრძანების სატიტულო ინფორმაციის ველში, ფუნქციური დანიშნულების სახეობის გრაფაში სწორად მიეთითა მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა „ბლოკი B“. აქედან გამომდინარე, ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში, საპროექტო შენობის ფუნქციასთან ერთად, შესაძლებელია დაფიქსირდეს საპროექტო ბლოკიც, კერძოდ „ბლოკი B“.
ამასთან, სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი -1.20 ნიშნულის გეგმა და ღია ავტოსადგომის მაჩვენებელი შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო ობიექტისთვის გათვალისწინებულია 12 ღია ავტოსადგომი, საერთო ფართობით 144.0 კვ.მ. შესაბამისად, სამსახურის 2023 წლის 29 მაისის №6479382 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად შესაძლებელია დაფიქსირდეს - 144.0 კვ.მ. ამასთან, -1.20 ნიშნულის გეგმა არ იცვლება, ხდება მხოლოდ ღია ავტოსადგომების ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 მაისის №6479382 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 მაისის №6479382 ბრძანებაში და:
1.1. ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. შეთანხმდეს, ქ. თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა №106-ში მდებარე №01.12.12.028.043 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის (ბლოკი B) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.“.
1.2. ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 144.0 კვ.მ.
2. სამსახურის 2023 წლის 29 მაისის №6479382 ბრძანებით შეთანხმებული -1.20 ნიშნულის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 მაისის №6479382 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 მაისის №6479382 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge